სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

10 / დეკემბერი / 2025 წ.

KA021773495104825

№ **14/66277**

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

წარმოგიდგენთ ინფორმაციას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 600 განცხადება, მათგან გაცემულია პასუხი 585 განცხადებაზე, ხოლო 15 განცხადებაზე მიმდინარეობს საქმის წარმოება (სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მონაცემები);

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული განცხადებებიდან:

1) საჯარო ინფორმაცია, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 394 შემთხვევაში;

2) განხილვის პროცესშია 15 განცხადება;

3) 191 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (კატეგორიები: არ მოიპოვება, კონფიდენციალური, პერსონალური, გრიფით „საიდუმლო“ და სცილდება კომპეტენციას).

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სააგენტოს კორესპონდენციის მართვის სამსახურის უფროსი;

მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის მართვის სამსახურის უფროსის მიერ;

კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტს ადგილი არ ჰქონია;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე:

საჯარო ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება შემდეგი პროგრამების საშუალებით:

1) დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა „დესი“;

2) ელექტრონული არქივის ორი პროგრამა;

3) Priv-ის ელექტრონული პროგრამა;

4) SPMS - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა;

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებზე ინფორმაცია და

საჯარო ინფორმაცია განთავსებულია:

www.nasp.gov.ge-ის ვებ-გვერდზე.

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;

2025 წლის მანძილზე სააგენტოს თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები გამოყენებული არ ყოფილა.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

-საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

-„პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

-სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულება;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება -0;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ;

ზემოაღნიშნულ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია